

**საქართველო
სამშენებლო
და
გეორგია
-
თუშეთის
მშენებელი**

ლვინის სამშობლო – საქართველო
დათო ტურაშვილი

რედაქტორი ნინო გოგალაძე
ინგლისური ტექსტის რედაქტორი
ქეთი დეივისი
დიზაინერი ია გაბუნია
ტექნიკური დიზაინერი გიორგი ლომსაძე

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2020
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მის.: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

GEORGIA – THE HOME OF WINE
Dato Turashvili

Editor Katie Davies
Design Ia Gabunia

© Sulakauri Publishing, 2020
All rights reserved.

www.sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-565-8

© ლვინის ქარხანა N1, გვ. 3; © საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა, გვ. 121; © საქართველოს ეროვნული
მუზეუმი, გვ. 48-49; © წინანდლის მამული, გვ. 73;
© მეღვინეობა ხარება, გვ. 96-97; © გოგა ჩანადირი, გვ. 10-11,
22, 26-27, 32-33, 42, 50, 56-57, 64-65, 79, 87, 92-93, 95, 101, 102-
103, 104, 105, 114-115, 124-125, 131; © მირიან კილაძე, გვ. 66-67;
© არჩილ ქიქოძე, გვ. 110; © გიორგი ნათენაძე, გვ. 133-134;
დანარჩენი ფოტოები: Shutterstock.com

ყდაზე გამოყენებულ ფოტოზე გამოსახულია მიკროსკოპში
დანახული წითელი ლვინის წვეთი.

© Wine Factory N1, p. 3; © National Parliamentary Library of Georgia p. 121;
© Georgian National Museum, p. 48-49; © Tsinandali Estate, p. 73;
© Khareba Winery, p. 96-97; © Goga Chanadiri, p. 10-11, 22, 26-27, 32-33,
42, 50, 56-57, 64-65, 79, 87, 92-93, 95, 101, 102-103, 104, 105, 114-115,
124-125, 131; © Mirian Kiladze, p. 66-67; © Archil Kikodze, p. 110;
© Giorgi Natenadze, p. 133-134;
Other images: Shutterstock.com

Cover photo: Red wine under a microscope



ამ წიგნის გამოცემისათვის გაწეული დახმარებისა და
თანადგომისათვის მადლობას ვუხდით კომპანია „ბლექ სი გრუპს“
და თავისუფლების ქარხანას.

Special thanks to Black Sea Group and Freedom Factory
for supporting the publication of this book.





ღვინის სამშობლო ჩვენთვის,
ქართველებისთვის,
რასაკვირველია, საქართველოა,
მაგრამ ჩვენი ქვეყნის
დამოუკიდებლობის აღდგენამდე
ეს დანარჩენ მსოფლიოში მხოლოდ
ზოგიერთმა მეცნიერმა და ღვინის
ისტორიით დაინტერესებულმა
ადამიანებმა იცოდნენ.

For us, Georgians, the homeland of
wine is certainly Georgia, but only
a handful of academics and wine
connoisseurs knew about it in the world
before our country regained its lost
independence.



ზემოთქმულის მიზეზი ბევრია (ობიექტურიც და სუბიექტურიც), მაგრამ მთავარი მაინც დაპყრობილი ქვეყნის სუსტი ხმა და ენერგიაა, რის გამოც იმ დანარჩენმა სამყარომ პატარა საქართველოს არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდა.

There are several reasons, both subjective and objective, for this, the main one being that the voice of an occupied country is weak, so the rest of the world knew practically nothing about Georgia.





მეოცე საუკუნის ბოლოს,
როგორც კი საქართველომ კვლავ
დაიბრუნა საბჭოთა რუსეთის მიერ
წართმეული დამოუკიდებლობა,
ვაზის უძველესი და უნიკალური
ჯიშების აღდგენაც დაიწყო.
ამიტომაც ახლა, ოცდამეერთე
საუკუნეში, თავიდან გვინევს ჩვენი
ქვეყნის წარდგენა დანარჩენი
მსოფლიოსთვის, რადგან,
სამწუხაროდ, ყველამ როდი იცის,
რომ უძველესი ცივილიზაციისა და
კულტურის ქვეყანა – საქართველო
– ღვინის სამშობლოც არის.

Perhaps didn't even suspect it existed
at all. At the end of the 20th century,
as soon as Georgia regained the
independence taken by Soviet Russia,
the oldest and most unique kinds of
grapevine began to be revived. That's
why now, in the 21st century we are
obliged to introduce ourselves to the
world, because, sadly, not many are
aware that apart from being a country
of ancient civilization and culture,
Georgia is also the homeland of wine.



ეს წიგნიც სწორედ იმ მოსაზრების
მხარდაჭერაა, რომელსაც ჩვენ
ვიზიარებთ და აგრეთვე იმის
ახსნის მცდელობა, თუ რატომ
გვჯერა, რომ ღვინის სამშობლო
სწორედ საქართველოა,
მიუხედავად იმისა, რომ ამასთან
დაკავშირებით მეცნიერთა
შორისაც შეიძლება აზრთა
სხვადასხვაობა არსებობდეს.
თუმცა არავისთვის საკამათო
არაა, რომ საქართველო არის
უნიკალური, მრავალხმიანი,
პოლიფონიური მუსიკალური

The present book is based on the
premise supporting that theory,
something we firmly believe in. Further,
it is an attempt to explain why we
believe it is so despite the fact that the
opinions of experts can differ in this
regard.

ფოლკლორის ქვეყანა;
საქართველო ერთ-ერთი
უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა,
სადაც ჯერ კიდევ მეხუთე
საუკუნეში დაინერა პირველი
ლიტერატურული რომანი
ქართულ ენაზე და საქართველო
არის უნიკალური კულინარიული
კულტურის ქვეყანაც, მაგრამ
ყველაფერი, რასაც საუკუნეების
განმავლობაში ქმნიდა ქართველი
ხალხი, პირდაპირ უკავშირდება
ღვინის ფენომენს.

Nobody argues, however, that Georgia
is the home of the unique polyphonic
singing, that it is one of the oldest
Christian countries where the first novel
was written in the 5th century in its
native language or that it is the land of
a unique culinary culture. Yet, whatever
the Georgian nation has created over
the centuries is directly linked to wine.





ქართული ღვინის კულტურამ
განსაზღვრა კიდეც ჩვენი
არქიტექტურა, ლიტერატურა
და ჩვენი ხასიათის ყველა
თავისებურებაც; ღვინომ
შექმნა ჩვენი ტრადიციებიც და
გემოვნებაც, თავისუფლებაც
და სიყვარულიც, სიკვდილიც და
სიცოცხლეც.

ჩვენი სიცოცხლე იწყება ღვინით
და ჩვენი დაბადება ჩვენი პირველი
სადღეგრძელოა, ჩვენი სიცოცხლე
სავსეა ღვინით და ადამიანის
სიცოცხლე საქართველოში სულაც
არ მთავრდება სიკვდილით,

It was wine culture that defined our
architecture, literature and all traits
of our character: wine shaped our
traditions and tastes, our freedom
and love, our life and death. Our life
starts with wine when our birth is
welcomed with the first toast. Wine
accompanies our lives and even
after death it continues to be part of
us because one's name is invariably
mentioned in toasts, thus immortalized,



რადგან ნებისმიერი ადამიანის
გარდაცვალების შემდეგ ამ
ქვეყანაში მისი სადღეგრძელო
მაინც რჩება და მისი სახელიც
სადღეგრძელოში აგრძელებს
მარადიულ სიცოცხლეს.
მარადიულობის ეს ქართული
საიდუმლოც, ალბათ, სწორედ
მაშინ გაჩნდა საქართველოში,
როცა ქართველების
წინაპრებმა ველური ვაზის
ნერგი კულტურულად აქციეს
და კულტურული ვაზის
დაბადება არის კიდევ ქართული
ცივილიზაციის ათვლის წერტილი.

even if only in toasts. Such a secret
to immortality must have appeared
when the ancestors of modern
Georgians discovered the wild vine
and domesticated it. The emergence
of the cultivated grapevine must have
marked the beginning of the Georgian
civilization.






ქალაქი სიღნაღი. ხედი ალაზნის ველზე
Sighnaghi. View of the Alazani Valley





რასაკვირველია, არსებობს
რამდენიმე ქვეყანა და ხალხი,
რომელთაც ჩვენსავით ვაზის
უძველესი კულტურა აქვთ და, რა
თქმა უნდა, არსებობენ ღვინის
სხვა ტრადიციული ქვეყნებიც,
მაგრამ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის
ისტორიაში ღვინო ყოველთვის
ასრულებდა განსაკუთრებულ
როლს. ღვინის ფენომენს
საქართველოში ყოველთვის
განსაკუთრებული და გამორჩეული
ფუნქცია ჰქონდა. ალბათ ყველა
ქვეყანას აქვს თავისი გემო, სუნი
და ფერი. ჩვენი სამშობლოს
სუნი ჩემთვის მარნის სუნია და

There are certainly other nations with a
similar ancient culture of domesticated
grapes as well as other countries
with rich wine traditions, but wine has
played an exclusive role in the history
of our country and its people, serving
a significant function throughout. Each
country might be associated with a
particular taste, smell and colour,
and for me the taste and smell of my
homeland is linked with a wine cellar,
while the colour is that of a vine leaf.



ჩემი სამშობლოს ფერი კი ვაზის
 ფოთლის ფერია.
 ამიტომაც მინდოდა, ჩემი
 სამშობლოს დროშას
 ჰერალდიკის ენითაც ეთქვა
 მთელი მსოფლიოსთვის, რომ
 საქართველო ღვინის სამშობლოა
 და ამიტომაც ვისურვებდი
 ჩვენს დროშაზე ვაზის ფოთლის
 გამოსახვასაც (ვიზუალურადაც კი
 წარმომიდგენია ის ინფორმაცია,
 რომელსაც ასეთი დროშა დანარჩენ
 სამყაროს გადასცემდა – ორ ზღვას
 შორის მდებარე ღვინის სამშობლო
 საქართველო, რომელსაც ვაზის
 ფოთოლი გამოხატავს).

That's why I wish our national flag
 featured it, communicating to the rest
 of the world that Georgia is the home
 of wine through heraldic symbolism. It
 is easy to visualize such information: a
 small country between two seas, the
 home of the domesticated vine and
 wine production.

